ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგია ასრულებს რა საპროცესო კოლეგიის ფუნქციას, საქმეს განიხილავს შემდეგი შემადგენლობით:

ცირა შუბითიძე - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ კბილაშვილი - კოლეგიის წევრი

დათუნა მოდებაძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ჯ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.12.2011

საჩივრის რეგისტრაციის №105/11

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 04.01.12

საჩივარი შემოტანილია ადვოკატ მ. შ. მიმართ,

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. შ. მიმართ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება; თანხის დაბრუნება

I ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2011 წლის 6 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ჯ. მ. ადვოკატ მ. შ. მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და თანხის დაბრუნების თაობაზე.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატ მ. შ. დაიწყო ურთიერთობა 2008 წელს, მას უნდა გაეწია მომსახურება კლიენტისათვის ბინიდან 50% წილის გამოყოფის თაობაზე. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატს გადაუხადა მომსახურების საფასური 500 ლარი, 130 ლარი – სასამართლოში შესატანი სახელმწიფო ბაჟის ხარჯი, სახლის აზომვითი ნახაზისათვის 150 ლარი და სხვადასხვა ხარჯების ფული.

1.3 საჩივრის ავტორი უკმაყოფილოა მცხეთის სასამართლოში ადვოკატის მომსახურებით, საჩივრის ავტორის განმარტებით მისი საქმის განხილვა გაჭიანურდა და დღემდე არ არის გადაწყვეტილი.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური, მორალური ზიანი და ითხოვს საადვოკატო მომსახურების სახით გადაცემული ჰონორარის უკან დაბრუნებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიასთან გასაუბრების მიზნით 2011 წლის 23 დეკემბერს სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი მ. შ., რომელმაც წარმოადგინა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ დათარიღებული 2008 წლის 20 ივლისით.

2.2 ადვოკატმა განმარტა, რომ სასამართლოში შეტანილი ჰქონდა სასარჩელო განცხადება ჯ. მ. საქმეზე, რა დროსაც სასამართლომ დაუდგინა ხარვეზი. წარსადგენი იყო მხარის მიერ მტკიცებულებები, რაც მხარემ ვერ შეასრულა და საქმე დარჩა განუხილველი.

2.3 ადვოკატმა მ. შ. განაცხადა, რომ იგი დღეის მდგომარეობითაც თანახმაა აწარმოოს ჯ. მ. საქმე, მასზე რაც იყო დამოკიდებული სარჩელის მომზადებასთან დაკავშირებით მის მიერ შესრულებულია, თუმცა საჩივრის ავტორის სურვილია არა საქმის წარმოება, არამედ თანხის დაბრუნება.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი მ. შ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. ადვოკატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, ის არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან“.

3.2 ჯ. მ. ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2011 წლის 06 დეკემბერს.

3.3 სადავო ქმედება ჩადენილია 2008 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (17.11.2009 #2040 რედაქციით) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინარული პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინარული გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო საჩივარში მითითებული დარღვევის თარიღისათვის მოქმედი რედაქციით (2008

წელი) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა დისციპლინარული წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-3 მუხლით ადვოკატს დისციპლიანრული პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ დისციპლინარული გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი.

4. სამართლებრივი შეფასება

4.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (17.11.2009 #2040 რედაქციით) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო საჩივარში მითითებული დარღვევის თარიღისათვის (2008 წ) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-3 მუხლის მიხედვით, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი.

4.2 აღნიშნული საჩივრის მიხედვით 2008 წლის ივლისში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ადვოკატს უნდა დაეცვა კლიენტის ინტერესები სამოქალაქო სამართლის საქმესთან დაკავშირებით. 2008 წელს ადვოკატმა მ. შ. სრულყოფილად არ დაიცვა კლიენტის ინტერესები, რის გამოც საჩივრის ავტორი უკმაყოფილოა. საქმეში არსებული მასალებიდან არ დგინდება, რომ 2008 წლის შემდეგ ჯ. მ. და მ. შ. შორის ურთიერთობა გაგრძელდა, როგორც ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა.

4.3 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ 2008 წელს მოქმედებდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (2002 წლის რედაქცია) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი და ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა დისციპლინარული წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების (2006 წლის 15 აპრილის რედაქცია) მე-3 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ **ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი.**

4.4 მოცემულ შემთხვევაში კანონს არ შეიძლება ქონდეს უკუქცევითი ძალა, რადგან ის აუარესებს პირის (ადვოკატის) მდგომარეობას.

4.5 ადვოკატთა დისციპლინარული წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დისციპლინური კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ თუ საჩივრის შემოტანის თარიღამდე გასული იყო კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

4.6 ადვოკატ მ. შ. მიერ სავარაუდო გადაცდომის ჩადენიდან გასულია 3 წელზე მეტი ვადა და ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისნგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გადაწყვიტა:

1. ჯ. მ. 2011 წლის 6 დეკემბრის №105/11 საჩივართან დაკავშირებით შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვმდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ცირა შუბითიძე/

კოლეგიის წევრი: /არჩილ კბილაშვილი/

კოლეგიის წევრი: /დათუნა მოდებაძე/